გაეროს უშიშროების საბჭოს **<u>რეზოლუცია 1666 (2006)</u>**

2006 წლის 31 მარტი.

უშიშროების საბჭო, ეყრდნობა რა ყველა თავის შესაბამის რეზოლუციას, კერძოდ, 2005 წლის 29 ივლისის 1615 რეზოლუციას (S/RES/1615),

მიესალმება რა გენერალური მდივნის 2006 წლის 17 მარტის მოხსენებას,

მხარს უჭერს რა გენერალური მდივნისა და მისი სპეციალური წარმომადგენლის, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის დახმარებით, აგრეთვე გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ გაწეულ უწყვეტ ძალისხმევას,

ხაზს უსვამს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიასა და დსთ მშვიდობისმყოფელ ძალთა შორის მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობის მნიშვნელობას, რამდენადაც ამჟამად ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან როლს კონფლიქტის ზონის სტაბილიზაციის საქმეში და შეახსენებს, რომ კონფლიქტის მყარი და ყოვლისმომცველი მოწესრიგებისათვის საჭიროა უსაფრთხოების ჯეროვანი გარანტიები,

1. კვლავ ადასტურებს ყველა წევრი-სახელმწიფოს ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და მის საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებისადმი და მხარს უჭერს გაეროსა და გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ყველა ძალისხმევას, რომლებიც ეფუძნება მათ გადაწყვეტილებას ხელი შეუწყონ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებას მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით და უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ფარგლებში;

2. შეახსენებს _ მყარი და ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევის მიზნით _ თავის მტკიცე მხარდაჭერას პრინციპებისადმი, რომელსაც შეიცავს დოკუმენტი სათაურით “თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები” და მიესალმება დამატებით იდეებს, რომელთა წამოყენებასაც მხარეები ისურვებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით შემოქმედებითი და კონსტრუქციული პოლიტიკური დიალოგის გამართვის მიზნით;

3. მოუწოდებს ორივე მხარეს სრულად გამოიყენონ უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებში აღწერილი ყველა მექანიზმი მშვიდობიან მოწესრიგებამდე მისასვლელად, და მოუწოდებს ზუსტად დაიცვან ცეცხლის შეწყვეტის, ძალის გამოუყენებლობისა და ნდობის განმტკიცების ღონისძიებების შესახებ ადრე მიღწეული შეთანხმებები;

4. დაბეჯითებით მოუწოდებს ორივე მხარეს გადაუდებლად დაასრულონ მუშაობა გალის რაიონისათვის ძალის გამოუყენებლობისა და ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირების დაბრუნების შესახებ დოკუმენტების პაკეტზე და გადადგან ნაბიჯები სამოქალაქო მოსახლეობის, დაცვისა და ღირსების პატივისცემის უზრუნველსაყოფად, დაბრუნებულ პირთა ჩათვლით;

5. მოუწოდებს ორივე მხარეს გაატარონ შემდეგი ღონისძიებები მათ მიერ უკვე გამოხატულ მზადყოფნასთან დაკავშირებით ჩატარდეს მათი უმაღლესი ხელმძღვანელობის შეხვედრა რაიმე წინასწარი პირობების გარეშე;

6. დაბეჯითებით მოუწოდებს ქართულ მხარეს სერიოზულად მოეკიდოს უსაფრთხოების საბაბით აფხაზური მხარის დასაბუთებულ შეშფოთებას, მოერიდოს ნაბიჯებს, რომლებიც შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მუქარა და თავი შეიკავოს საომარი რიტორიკისაგან;

7. დაბეჯითებით მოუწოდებს აფხაზურ ხელმძღვანელობას სერიოზულად მოეკიდოს აუცილებლობას უზრუნველყოს ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების დაბრუნება ღირსების პატივისცემის პირობებში, მათი უსაფრთხოების ჩათვლით და ადამიანის უფლებების გამო შეშფოთების გათვალისწინებით, საჯაროდ დაარწმუნოს ადგილობრივი მცხოვრებლები, განსაკუთრებით გალის მოსახლეობა, რომ პატივს სცემენ მათ უფლებას ცხოვრებასა და თვითმყოფადობაზე და დაუყოვნებლივ შეასრულონ ადრე მიცემული დაპირებები, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიციის მრჩევლებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებებისა და სწავლების ენის განყოფილების ბიუროს ეხება;

8. ხაზს უსვამს, რომ ორივე მხარეს ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის, დსთ მშვიდობისმყოფელი ძალებისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის სათანადო უსაფრთხოებისა და გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფისათვის და მოუწოდებს ორივე მხარეს, შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ამასთან დაკავშირებით;

9. მხარს უჭერს ქართული და აფხაზური მხარის ყველა ძალისხმევას, მიმართულს ეკონომიკურ თანამშრომლობაში კონსტრუქციული მონაწილეობისათვის, როგორც ეს იყო გათვალისწინებული ჟენევის შეხვედრებზე და დამატებულია 2003 წლის მარტში სოჭში შექმნილი სამუშაო ჯგუფებით, და როცა ამის შესაძლებლობას იძლევა უსაფრთხოების პირობები, ინფრასტრუქტურის აღდგენის ჩათვლით და მიესალმება გერმანიის მიერ გამოხატულ განზრახვას თავის ქვეყანაში ჩაატაროს ასეთი კონფერენცია ეკონომიკური თანამშრომლობისა და ნდობის განმტკიცების ღონისძიებების თაობაზე კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში პროგრესის მოლოდინით;

10. მიესალმება გაეროს დამკვირვებელთა მისიის ძალისხმევას სექსუალური ექსპლუატაციისა და შებღალვის მიმართ გენერალური მდივნის მიერ გამოცხადებული "ნულოვანი შემწყნარებლობის" პოლიტიკის განხორციელებისათვის და მისი პერსონალის მიერ გაეროს ქცევის კოდექსის ყოველმხრივი დაცვის უზრუნველყოფისთვის, სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს ამასთან დაკავშირებით ყველა აუცილებელი ზომის მიღება და ინფორმაცია მიაწოდოს უშიშროების საბჭოს და დაბეჯითებით მოუწოდებს ჯარების გამომგზავნ ქვეყნებს, განლაგების წინა ეტაპზე მომზადების ორგანიზაციის ჩათვლით, მიიღონ სათანადო პრევენციული ზომები ამ პრობლემაზე ინფორმირებულობის ამაღლებისათვის, აგრეთვე დისციპლინური და სხვა ზომები პერსონალის მიმართ ასეთი ქცევის შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის;

11. ადგენს გაგრძელდეს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის მანდატი შემდეგი პერიოდისთვის, რომელიც დასრულდება 2006 წლის 15 ოქტომბერს, ამასთან, მისი მანდატი აუცილებლობის შემთხვევაში უსაფრთხოების თვალსაზრისით შეიძლება შეცვლილ იქნეს საბჭოს მიერ, დსთ სამშვიდობო ძალების მანდატში ცვლილებების ჩათვლით;

12. სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს საბჭოს რეგულარული ინფორმირება და ამ რეზოლუციის მიღების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ წარმოადგინოს მოხსენება ვითარების შესახებ აფხაზეთში, საქართველო, კერძოდ, პროგრესის შესახებ მოლაპარაკებებში, რომლებიც დაკავშირებულია დოკუმენტებთან ძალის გამოუყენებლობისა და ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა შესახებ;

13. გადაჭრით უჭერს მხარს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ძალისხმევას და მოუწოდებს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფს გააგრძელოს თავისი შეუნელებელი და ერთიანი მხარდაჭერა;

14. ადგენს გაგრძელდეს აქტიური მუშაობა ამ საკითხზე.

(www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)